№ 4. 8 იანვარი, ხუთშაბათი. 1866—1881 8 იანვარი. ხუთშაბათი. № 4.

რედაქცია

გალავინინ პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

		1 წლით	6 თვით.	3 თვით.
„დროება“-„ივერია“	ერთად	14 მან.	8 მან.	5 მან.
ცალკე	„დროება“	9 „	5 „	3 „
	„ივერია“	7 „	4 „	2 „

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე [illegible] ასოზე [illegible] კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებსა და უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1881 წელს
დროება-ივერიის
გამოცემასზედ

ამ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე ამ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი ამ წლიდამ გამოდის თითე-და-თითე, ახალის, უფრო გრცელის პროგრამმით და ახალ თანამშრომლების დახმარებით. ეს [illegible] ში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა.

რედაქციას იმედი აქვს რომ ჟურნალი გამოსცეს ყოველის თვის პირველს რიცხვს.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, ბალავინის პროსპექტზე თ. ივ. ა. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

ფ ა ს ი:

	1 წლით	6 თვით.	3 თვით.
„დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად —	14 მან.	8 მან.	5 მან.
„დროება“ ცალკე — — —	9 „	5 „	3 „
„ივერია“ ცალკე — — —	7 „	4 „	2 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხუთზე ფული ხელის-მოწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

„დროება“-„ივერიის“
ალბომი

ამ 1881 წლის განმავლობაში „დროება“-„ივერის“ რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებს მხატვრობის ალბომს, რომელსაც უსასყიდლოდ გვისატავს ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

მხატვრობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში თვითონ ბერიძის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ალბომში იქნება შემდეგი სურათები:

1. თამარ-დედოფალი, 2. ერეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 5. მარი ბროსსე, 6. ოარი სურათი „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“, 7. მცხეთის მონასტერი, 8. ბელათის მონასტერი, 9. უფლის-ციხის ნანგრევები, 10. პეიზაჟები, 11. ჩვენი ხალხის ტიპები და სხვ.

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის საგენტოსი)

ლონდონი, 6 იანვარს. **საბერძნეთის მმართებლობამ სთხოვა რუსეთს,** რომ ოსმალეთში მცხოვრები საბერძნეთის ქვეშევრდომნი თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს.

გაზ. „დაილი ნეუსს“ გაუგონია, რომ საფრანგეთის მმართებლობამ უკან წაიღოგო თავის წინადადება იმის შესახებ, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა უგმაყოფილება მედიატორების სასამართლომ გადასწყვიტოს.

პარიზი, 5 იანვარს. ამბობენ ევროპის სახელმწიფოები მოსთხოვენ ოსმალეთს გამოაცხადოს — თუ რას დაუთმობს ის საბერძნეთსა.

სტამბოლი, 6 იანვარს. ოსმალეთის მთავრობამ გაუგზავნა ევროპის სახელმწიფოებს ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ ხელ-ახლად მოხდეს სტამბოლში კონფერენცია და ამ კონფერენციამ სიბოლოგოთ გადაწყვიტოს ჩვენსა და საბერძნეთს შუა უგმაყოფილებაა.

პეტერბურგი, 5 იანვარს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა — —	95	37
მეორესი — — — — —	93	12
მესამესი — — — —	93	50
მეოთხესი — — — —	93	— „
ალმოსავლეთის პირვ. — —	92	— „
ალმოსავლეთის მეორე —	92	25
ალმოსავლეთის მესამე —	92	— „
ოქრო, 1/2 იმპერიალი — —	7	85

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	222	50
მეორე სესხის — — —	221	75

«დროების» ფელეტონი, 8 იანვარს.

წერილი შავშეთიდამ.

ბატონო „დროება“ გაზეთის გამომცემელო!

ამ მცირე ხანში ჩვენის ბედკრული შავშეთიდამ ბათომში გიახელ ერთს ჩემს ხიმსიმს (ნათესავს) ბეგთან, რომელმაც თქვენი ვაზეთები მიჩვენა და მითხრა:

„— ამაში სწერია ზოგი ჩვენი თავგადასავალიო“.

ტანჯული სულით და წამებულის გულით წახალისებულმა, როგორც იქნა ამოვიკითხე თქვენს გაზეთაში, რომ ერთს ბეგთაგანს ჩაუბეჭდია იგი და, დასტურს გეტყვით, იმ ფერი მესიამოვნა, ვითამც გულზე ვინმეს ბალსამი ჩაესხა. ეს ერთ-ერთი ბეგი ბ. ... ...

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 25—25	პენსი
ბამბურღი	— — 214—37	ცენტი
პარიჟი	— — — 266—25	სანტიმი
ვენა	— — — 129—50	პფენიგი
კავკასიის კერასინი	— — —	.

„მეცამეტე გოჯები“

ტფილისი, 7 იანვარს.

ამ წლის „კავკასის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქტორთან:

„წავიკითხეთ-რა ქართული გაზეთის „დროების“ № 254 წინა სტატია ამ გაზეთის რედაქტორის ს. მესხისა და ამასთანავე კავკასიის სამასწავლებლო მაზრის ბ. იანოვსკის პასუხი ამ სტატიაზედ, დაბეჭდილი „კავკაზის“ №348-ში, ჩვენ ჭეშმარიტების აღსადგენელად, ამით გამტკიცებთ:

„1) რომ ბ. იანოვსკის, ახალ-სენაკის ნორმალურ სკოლის დახედვის დროს, არასოდეს არ უთქვამს მასწავლებლის ბატ. ლომინაძისათვის ის სიტყვები, ქართველების შესახებ, რომელსაც მას ს. მესხი აბრალებს, და

2) რამდენათაც ჩვენ ვიცით, სამეგრელოს სადხს ეოველთვის ჭსურდა და ახლაც ჭსურს, რომ რუსული ენა ქართულთან ერთად ასწავლოს იმათ შვილებს სკოლაში შესვლის პირველ დღიდამე და ამ შემთხვევაში ის (ე. ი. სამეგრელოს სადხი) სრულებით არ არის ს. მესხის აზრისა.“

სენაკის უეზდის უფროსი
ბებურიშვილი

სენაკის განყოფილების მომრიგებელი
მოსამართლე ივ. ბერიძე.

დეპუტატი დ. ახალ-სენაკისა ლუკა
ჟვანია.

30 დეკ. დ. სენაკი.

ამ საგანზედ ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმ პასუხში, რომელიც ბ. იანოვსკის სტატიის შესახებ დაიბეჭდება.

მაგრამ, რადგან ამ პასუხმა, სხვა-დასხვა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზებით, დაიგვიანა, იძულებული ვართ, ახლავე ცალკე პასუხი მოვახსენოთ ზემოხსენებულ მოწმეებსა.

ყველაზე პირველად ბატ. სენაკის უეზდის უფროსსა და მომრიგებელ მოსამართლეს უბრალო ლიტერატურული კანონი და მოთხოვნილება უნდა ვასწავლოთ: როდესაც ავტორს არ მოუწერია თავის სტატიაზე სრული თავის სახელი და გვარი, არავის არა აქვს უფლება, რომ ეს ავტორის ვინაობა გამოააშკარავოს. „ბ. იანოვსკისადმი ღია წერილის“ ბოლოს ს. მესხს ხელი არ მოუწერია და უეზდის უფროსმა და განსაკუთრებით მომრიგებელ მოსამართლემ უნდა იცოდნენ, რომ იმათ არ ჰქონდათ უფლება ეთქვათ, რომ ეს წერილი ს. მესხმა დასწერაო.

ამას იმიტომ როდი ვამბობთ, რომ ს. მესხს ეშინოდეს ამ შემთხვევაში თავის ვინაობის გამოცხადებისა; სრულიადაც არა; ვამბობთ იმიტომ, რომ ეს წესია და წესის დამცველებს არ ეპატიებათ ამის უცოდნელობა; ვამბობთ კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთ კაცებისაგან გვაკვირვებს, რომ თავიანთ მოქმედების გამოაშკარავება ასე ეჯავრებათ და იქ კი, სადაც მათ არავინ არასა ჰკითხავს, მეტიჩრობას სჩადიან და რაღასაც აყრანტალებენ.

ახლა თვითონ ბბ. ბებურიშვილისა და ივ. ბერიძის მოწმობაზედ ვილაპარაკოთ.

განა, ბ. ბ. ბებურიშვილო და ივ. ბერიძე, ისეთი პირები ბრძანდებით თქვენ, რომ რასაც ბრძანებთ, რასაც იტყვით, დაუმტკიცებელად უნდა დაგიჯეროს ქვეყანამ, არავინ ეჭვი არ უნდა შეიტანოს თქვენს სიტყვაში?

რატომ იმას არ ამბობთ: დაესწარით თქვენ იმ დროს სკოლაში, როდესაც ბ. იანოვსკი იყო იქ? ანუ დაესწარით თქვენ ახალ-სენაკის სასტუმროში, როდესაც ბბ. იანოვსკი და მასწავლებელი ლომინაძე სადილს სჭამდნენ?

რატომ სხვა დროს არასოდეს არ გამოგბრძანებულხართ სალიტერატურო ასპარეზზე?. . . . . .

„ჭეშმარიტების აღსადგენელად ვაცხადებთო!“ მოდი ნუ გაგვეცინება, როდესაც ამას ამბობს ბ. ბიორგი ბებურიშვილი! ვინ ბიორგი ბებურიშვილი და ვინ ჭეშმარიტება!? ვიღაც მესამე პირიც მოუნახავთ, ჭვანია. რატომ ასი მაგისთანა მაჩანჩალა არ მოიყვანეთ, გვიკვირს!...

ყველა ამას გარდა თქვენ, ბატონებო, ახალ-სენაკის მაზრის უფროსო და მომრიგებელ მოსამართლეე, თქვენს მოწმობას „დროების“ წანაალმდეგ კიდევ იმიტომ არა აქვს არავითარი ძალა და მნიშვნელობა, რომ თქვენი სახელი და გვარი და თქვენი მოქმედება არა-ერთხელ ყოფილა არასაქებურად მოხსენებული ამ გაზეთის ფურცლებზე, და ამიტომ ჩვენ მოსისხლე მტრად ითვლებთ. და, თუ უეზდის მმართველმა ბ. ბებურიშვილმა არა, მომრიგებელ მოსამართლემ ივ. ბერიძემ მაინც უნდა იცოდეს, რომ ამ გვარი პირების მოწმობა გროშ-კაპეიკად არა ღირს, ყურადღებაშიაც მისაღები არ არის.

რაიცა შეეხება მეორე მუხლს თქვენის წერილისას, რომ „სამეგრელოს ხალხს ჰსურსო სკოლაში შესვლის პირველ დღიდამე ისწავლოს რუსულიო,“ ამ თქვენგან თქმულს მაინც ვერ დავიჯერებთ: ვერ დავიჯერებთ იმიტომ რომ ვიცით, სამეგრელოს ხალხში თქვენ ამაზედ არავითარი ცნობა არ მოგიკრებიათ; კიდევ იმიტომ, რომ, რამდენათაც მე ვიცი, ხალხი ისეთის მხრით გიცნობს თქვენ, რომ მართალს და თავის გულის საწადელს ის თქვენ თავის დღეში არ გეტყვისთ. . . . . .

ახალი ამბები

—

ბუშინ, სამშაბათს, თფილისის ქრუქოკში დანიშნული იყო ბალი თფილისის გუბერნიის სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ. დიდ ძალი ხალხი და რაც თფილისში წარჩინებული საზოგადოება არის, თითქმის ყველა დაესწრო ამ ბალზე ასე, რომ ამ კეთილის მიზნისათვის, ამბობენ, უკანასკნელი 1500 მანეთამდინ შეგროვილი დარჩებაო.

* * *

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ჩვენი კორრესპონდენტის დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა საჩხერის პრისტავისაგან ამბავი მიიღოვო, რომ საჩხერის საპრისტაოს ერთს სოფელში კიდევ ერთი ქრისტიანის ბავში დაიკარგა და ამას ხალხი ადგილობრივ ურიებს აბრალებსო.

ამ ნაირად სარრა მოდებაძის ამბავის გამეორებას უნდა მოველოდეთ.

ჩვენის აზრით, საფუძვლიანი გამოძიება უნდა მოხდეს ამ საქმის თაობაზედ და ერთხელ-და-სამუდამოთ უნდა დარწმუნდეს ხალხი—დასაჯერებელია, საფუძვლიანია ამ გვარი ხმები და საშინელი ბრალდება ურიებისა, თუ არა.

* * *

ბათომიდამ გვაცნობებენ, რომ ნური-ბეგ ხიმშიაშვილი ბათომის ოლქში შემდგარის მილიციის ინსპექტორად დაუნიშნავთ. კორრესპონდენტის სიტყვით, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დანიშნულებამ მთელს მხარეზე.

* * *

იქიდამე გვაცნობებენ შემდეგს საყურადღებო ამბავს:

„თქვენც მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთის მმართებლობა ყოველის ღონისძიებით ცდილობს ბათომის ოლქელები გადიბიროს. ამ საგნისათვის იგი არ ზოგავს თავის ხაზინას, რომელიც, მართალია, სიუხვით ვერ იქება, მაგრამ ამ შემთხვევისათვის კი მუდამ იხსნება. ეს განზრახვა რომ უფრო მალე და მოხერხებულად შეასრულოს, იმას ამ დღეებში დაუნიშნავს ქამილ-ფაშა ხიმშიაშვილი (ნურიბეგის უფროსი ძმა) და ადრინდელი მინისტრი ხონთქრის სასახლისა, მოაჯირთ გამგეთ და მიუნიჭებიათ მისთვის დიდი უფლება.

„ამბობენ, ეს ქამილ-ფაშა ძალიან ცდილობს თავის ვალდებულება კარ-

---

სამართალი მოგვანიჭოს, მაგრამ დაბალი მოხელეობა კი სხვა-და-სხვა ფერი მიზეზის წყალობით აბრკოლებს იმის ასრულებას და ეს არი ჩვენი უბედურება.

ერთს ამ მიზეზთაგანს ეხლავ მოგახსენებთ. ვიცი დაჯერება გაგიჭირდებათ, მაგრამ ამფერი ძნელად დასაჯერებელი საქმე ასობით ხდება ჩვენს შავშეთში.

ჩვენც რომ დავინახეთ, მეტი გზა აღარ გვქონდა დავაძალეთ ჩვენს ფუხარა შეძლებას და დიდის გაჭირვებით გამოვიღეთ კომლზე ხუთ-ხუთი მანათი. მოვახსენეთ ჩვენს უფროსს ბ. ყორღანოვს, რომ ეს გაგვიწესებია წლიურ გადასახადათ-თქო. იმან გვიბძანა, რომ თუ ეს გადასახადი ეხლავ თუმნად არ შესცვალეთ, სამი წლის შემდეგ ოც მანათს დაგადებენ ჩვეულებრივ გადასახადათაო.

ეს ითქვა თუ არა ბ. ყორღანოვისაგან, ისეც სხვა მიზეზებით უკმაყოფილო ხალხმა იგრიალა და ერთად რამდენიმე ასი კომლი (წასრულს ზაფხულში) გარდაიხვეწა ოსმალეთში. მაგრამ, როგორც ზემოთაც მოგახსენე, ბატონო, ზამთრის შემდეგ კიდევ ბევრი აპირებს წასვლას. მიზეზი გახლავს იგივე ბ. ყორღანოვი. უზრდელური მოპყრობით და უშვერის სიტყვებით ლანძღვა-გინებით შეგვაძულა თავის თავიც და ჩვენი, უამისოდაც გაჯახირებული სიცოცხლეც. დედამის გინების, მკვდრების შეკურთხების მეტი თითქმის არაფერი გაგვიგონია ჩვენ ამ „ნაჩალნიკისაგან“. აფერუმ ჩვენს მოთმინებას, თორემ არ ვიცი რისი ღირსი არ არის ჩვენგან ეს ყორღანოვი. ბატონო, სხვა უბედურება არ გვეყოფა ამ დედ-მამის გინებას კიდევ რომ ზედ გვიმატებენ? ან რა ვაჟკაცის საკადრისია გინება? თუ ღირსნი ვართ დაგვსაჯონ, თუ გვემართლებიან გაგვიკცხონ, ძიავ; მაგრამ დედ-მამას კი ნუ გვიგინებენ, მკვდრებს ნუ გვიგმობენ. გულში ტყვია მოგვხვდეს იგი გვირჩევნია, თავი მოგვჭრან იმას ვარჩევთ, ოღონდ კი ჩვენს დედ-მამაზე და მკვდრებზე ხელი აიღონ.

ამას წინად, როცა თ. ლ. მელიქოვი მობრძანდა ჩვენს ოლქში, განვიზრახეთ დავხვედროდით და ყველაფერი ჩვენი თავგადასავალი მოგვეხსენებინა და ყორღანოვის მოქმედებაზე და საქციელზე შეგვეჩივლა. მაგრამ ერთმა უფროსთაგანმა დაუწყო ხვეწნა ნური-ბეგ ხიმშიაშვილს, ყორღანოვზე ნურაფერს ათქმევინებ შავშელებს და ფიცს-სალავათს გეუბნები ამ ცოტა ხანში მე თვითონ გამოვცელი იმასო. ნური-ბეგმაც, ჩემო ბატონო, დაუჯერა და ჩვენ ყველაყას გვთხოვა ჯერ ყუნჩად იქავითო, ყორღანოვს მაინც ქე ცვლიანო, და თუ არ გამოცვალეს მაშინ ვიჩივლოთო. ჩვენც, რასაკვირველია, ჩვენს მოთავეს დავენდეთ და გავყუნჩდით. აბლა უბნობენ ყორღანოვს ზამთრის გათავებისთანავე ჩვენ ეთიდამ გადაიყვანებენო. ღმერთს ექნას ეს ამბავი გამართლებულიყოს, თუმც პაწაი გვიანი კია!

ეს მინდოდა, ბატონო, თქვენთვის მომეხსენებინა. სხვას, ჯერ-ჯეროობით არასფელს გწერთ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“—ნათქვამია. ჩვენთვის საკმარისი იქნება რასაც გწერ,- ამას თუ მიაქციეს დიდმა კაცებმა ყურადღება.

ოსმან-აღა—ძე.

შავშეთი, 28 დეკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა შეასრულოსო, ესე იგი გადასახლებული ქართველები კარგად დააბინავოს და ამის წყალობით შემდეგისათვის დარჩენილებიც გადიბიროს. მაგრამ რაც უნდა ეცადოს ქამილფაშამ, დიდხანს მაინც ვერ მოუვლის და ვერ დააკმაყოფილებს გადასახლებულებს. შეიძლება კი თავდაპირველად ბევრი გადიბიროს, მაგრამ საბოლოოდ მაინც შიმშილით სიკვდილის მეტი არაფერი მოელის იმ ბედკრულებს“.

ჩვენის აზრით, დროა რუსეთის მმართებლობამ პორტის ამ რიგი პოლიტიკური ხრიკების ჩამშლელი ღონის-ძიება მიიღოს.

* * *

თავმჯდომარენი მომავალ მეხუთე არხეოლოგიურ კრებისა, რომელიც უნდა მოხდეს ჩვენს ქალაქში 8 ენკენისთვეს ამ 1881 წელს, გრაფი ა ს. უვაროვი და ა. ვ. კომაროვი იწვევენ ამ კრებაზედ ამ საქმის (არხეოლოგიის) თანამგრძნობ და მცოდნე პირთ. სულ კომიტეტი შესდგება 48 პირთაგან. საპატიო თავმჯდომარეობა ამ კრებისა მიიღო დ. მ. მიხაილ ნიკოლოზის-ძემ. კრება გაგრძელდება ორ კვირას და იმ პირთ, რომელთაც სურთ წ�ჩაეწერონ ამ კრებაზედ, უნდა შემოიტანონ 3 მან. და 60 კაპ. კრებაზედ იქნება არხეოლოგიური გამოფენა.

კრება შესდგება 8 განყოფილებისაგან:

ა) ნაშთები კაცობრიობის პირველ დროისა.

ბ) ნაშთები კერპთ-თაყვანის მცემლობის დროის ხალხებისა.

გ) ნაშთები ქრისტიანეთა.

დ) ნაშთები მუსულმან ხალხებისა.

ე) ნაშთები ხელოვნებისა და მხატვრობისა.

ვ) ნაშთები მწერლობისა და ენისა.

ზ) ლინგვისტიკა.

Თ) ისტორიული გეოგრაფია და ეთნოგრაფია.

კრებაზედ გასარჩეველად დადგენილია 74 საგანი; ამას გარდა კომიტეტს კიდევ აქვს 88 საგანი, რომლებიც სასურველია აიხსნესო.

კრების ანგარიში დაბეჭდილი იქნება. კომიტეტს მოლაპარაკება აქვს რკინის გზის და გემების მმართველებთან, რომ იმ პირთ, რომელნიც წარუდგენენ მათ ხსენებულ კრების წევრობის ბილეთს, გზის ფული ნაკლები გადახდესთ.

„დროების“ კორესპონდენცია

ბორი, 31 დეკემბერს. ჰუ, ჰუ, ჰუ, რა ცივცხლია ბორის ქუჩებზე სიარული ამ ავდრებში!

საშინელებაა არა თუ სიარული ამ ქუჩებზე, არამედ ბორიდგან დანახვაც! სისუფთავით და სიფაქიზით ისინი მოგაწონებენ თათრის მოედანს თფილისში და ორმოებით კი რომელ ქალაქის ქუჩებს შეეადარო, არც კი ვიცი. მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: ღმერთმა გაშოროსთ ყველას ამ ქუჩებზე სიარული; თუ ქვეითი იქნებით, სადმე ფეხს ჩაჰკრამთ და კისერს მოიტეხთ, თუ ცხენით—ცხენს ფეხი მოგიტყდებათ და თუ ფაეტონით,—ფაეტონის თვლების აქეთ-იქით ორმოებში ჩავარდნით ან წელში გატყდებით, ან და გვერდები დაგემტვრევათ. ერთის სიტყვით, უფათერაკოთ ვერ გადარჩებით. მკითხავთ: ძაკო! თუ ამას მართალს ამბობთ, მაშ გორელები ხომ სულ დახოცილები იქნებიან! აი იმაზე რას მოგახსენებთ: ზემოხსენებული უბედურება შეგემთხვევა იმ შემთხვევაში, თუ ბორის ქუჩების ჯერ ხამი ხარ; შეჩვეულ გორელებს კი ამ მშვენიერი ქუჩების გამო მხოლოდ ტვინი აქვთ დარეტიანებული.

ამას წინათ ფაეტონით მივდივართ სამი ყმაწვილი; გავიარეთ თუ არა რამოდენიმე ნაბიჯი, ერთმა ჩვენგანმა დაიწყო წყნარის ხმით ძახილი:—ვაი დედა, ფერდები! ვაი დედა, წელი! პირველად ვერ გავიგე, საქმე რაში იყო და როცა ვკითხე, ხომ არ გაციებულხარ-მეთქი, იმან ვაიცინა და მითხრა: კაცო! რა დროს სიცივეა? ვერ უცქერი, ლამის ფაეტონიდგან გადავცვივდეთ!... მე მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ფაეტონის ხან ერთი თვალი ჩავარდება ორმოში, ხან მეორე. ძლიეს, რა ვაი-ვაგლახით მივედით ჩვენს დანიშნულს ადგილამდის.

ეგ ყველა კარგი, მაგრამ ნეტავი ვისი საქმეა ყურადღება მიაქციოს ამ უპირველესს სენს ბორისას? ბორის რჩევის ხმოსანები მოგახსენებენ, ეს აჩუ-პეტრუსის საქმეაო. აჩუ-პეტრუსს ვინ რას ჰკითხავს აქ! ეგ ნამდვილად თქვენი საქმეა. რათა გაქვსთ ეგრეთი ჩვეულება, რაც თქვენს ჯიბეს არ გასტენის, ის ჩვენი საქმე არ არისო. სირცხვილი არ არის? მაგრამ ჰე! მაგრამ მეც ერთი სად ვეძებ სირცხვილს და ნამუსს!

ბავიგე, რომ ბორში ყურის-საჩხრეკები დაუძვირებიათ ახალ წელიწადს,(აქ წელს ახალ წელიწადს ყურის-საჩხრეკებს ულოცამდენ ერთმანეთს,—რატომ, თქვენც მიხვდებით),თორემ თითო ხმოსანს რომ თითო ყურის-საჩხრეკი ჰქონდეს, მაშინ ყველა ისინი ერთ-ხმათ დამეთანხმებოდნენ, რომ ქუჩების გაუმჯობესობა იმათი საქმეა.

რაც ვსთქვი ბორზედ, ესევე უნდა ვსთქვა მთელ ბორის მაზრაზედაც. რამდენჯერ და რამდენისაგან გამიგონია, რომ ბორის მაზრა ამ მხრით (უვზოობით) საშინლად დაცემულიაო და ხალხს ძრიელ დიდი ზარალი აქვსო. ეგ მაინც ვისი საქმეა? ვინ არის მოვალე, რომ ამ მართლა-და დიდს ნაკლულევანებას მიაქციოს თავისი ყურადღება?

ს. ჩ—ეკე.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! შობის წინათ ქ. ბორში მოვიდა ჩემი ნაცნობი ბატ. ი. მაჩაბელი და მთხოვა სოფელში ვწვეოდი. წავედი მასთან სოფელში დროების გასატარებლათ. ს. ცხინვალში და თამარაშენში ი. მაჩაბელმა ცნობანი შეკრიბა ნ. დიასამიძის მოქმედებაზედ. მოგეხსენებათ, რომ ეს ორი პირი მედიატორეთ სასამართლომ უნდა გაასამართლოს.

მე ამ ცნობების შეკრების დროს შორს ვიდექი და პირ-და-პირ ვუთხარი ბატ. ი. მაჩაბელს, რომ ნ. დიასამიძის საქმეში ვერ გავერევი, რადგანაც ვიცი იმისი ხასიათი-მეთქი.

ღღეს მე გახლდით ქ. ბორში და თორმეტ საათზედ შეევედი ერთ მაღაზიაში საყიდოთ. იქ ბძანდებოდა ბატ. ნ. დიასამიძე თავის ცოლით. როგორთ დამინახა, ნ. დიასამიძემ მკითხა:

— თქვენ რისთვის იძიებდით ჩემს ყოფა-ქცევას?

მე ვუპასუხე, რომ სურვილი არა მაქვს იმასთან ლაპარაკისა. ამ სიტყვების შემდეგ, როდესაც მე ყელ-სახვევებს დავუწყე შინჯვა, ნ. დისამიძემ მომიარა უკანიდგან და მუშტი გამარტყა პირში...

რას ვეტყოდი?—ხანჯალზედაც ხელი მოიკიდა... წავედი ქ. ბორის მომრიგებელ-მოსამართლესთან და შევჩივლე...

უმორჩილესად ვსთხოვ ბატ. ი. მაჩაბელს და სოფ. ცხინვალში მცხოვრებლებს ნ. ტერ-სტეფანოვს და ი. ელიოზოვს, რომელნიც დაესწრნენ ამ ცნობების შეკრების დროს, წარმოსთქვან,—გავერიე მე ნ. დიასამიძის და ი. მაჩაბლის დავიდარაბაში და თუ გავერიე—როგორ, რა ნაირათ?... ბატ. დიასამიძეს ალბად კუდი ეწვის... და გაბრაზებული მე მცემს თავის ცოლთან, რომელსაც უნდა აჩვენოს ვაჟკაცობა და გმირობა....

მაგრამ ბატ. დიასამიძეს ყველა დანაშაულობა მიეტეევა, რადგან თითონ აღვიარა თავის პასუხში ი. მაჩაბლისადმი, რომ იმას, დარიგება ეჭირება...

თუ თქვენ, ბატ. დიასამაძევ მართალი ბძანდებით,—რა იყო, რომ სწორედ თქვენ საზოგადო (და არა კერძოზედ—ეს კუდი საქმე იქნებოდა.) ყოფა-ქცევაზედ ცნობები შემეკრიბა ჩემის ნაცნობისთვის, რომელიც თქვენ მეგობრადაც ითვლებოდა, ვიდრე თქვენს ხასიათს და მიმართულებას შეიტყობდა?... ან როდის შევკრიბე, რატომ არ იკითხავთ... მოდი და დაუმტკიცე ბატ. დიასამიძეს, რომ ის ისეთია, როგორიც ი. მაჩაბელმა აგვიწერა! ბატ. დიასამიძეს ხალჯალი აქვს და მძლავრი მუშტი... რას უზამთ? ვინ იტყვის რასმეს იმის წინააღმდეგს? იქნება ბევრმა სხვებმაც იცის ნ. დიასამიძის სხვა-და-სხვა მოქმედება, მაგრამ ყველას შეეშინდება იმის ხანჯლისა და მუშტისა... ჯერ ხანჯალი შემოიხსნას ბატ. დიასამიძემ, როგორც თავის პოლიციური წითელ-ქობიანი ქუდი მოიხადა, ჯერ მუშტზედ ცქერა დაიეიწყოს და მერე ყველა იტყვის—თუ რა „ახალი ბანაკის“ კაცი ბძანდება მაგ[illegible] ბრწყინვალეობა...

ნ. ხიზანიშვილი.

(ცხინვალის გამომძიებელი)

უცხოეთი

ახლად-გარდაცვალებული ლუი ოგუსტ ბლანკი დაიბადა ნიცაში 1805 წელს; როდესაც ის ჯერ კიდევ სტუდენტად და შინაურ მასწავლებელად იყო პარიჟში, მუდამ იღებდა მონაწილეობას სხვა-და-სხვა აღკრძალულ და საიდუმლო საზოგადოებაში; 1830 წლიდამ დაწყებული თითქმის მთელი თავის სიცოცხლე გაატარა ციხეში. 1832 წელს ბლანკი იყო მიცემული პასუხის-გებაში პოლიტიკურ აგიტაციის თაობაზედ, სხვათა შორის გაახვიეს ესრეთ-წოდებულს ცხრამეტის პროცესში და ლიერსინის ქუჩის საქმეში (აღკრძალულ საზოგადოების შედგენისა და თოფის-წამლის მუშაობის თაობაზედ). 12 და 13 მაისს 1839 წელსა ერთად ბარბესთან და მარტენ ბერნართან ის იყო წინამძღოლად დაიარაღებული აჯანყებულებისა პარიჟში; ექვსი თვის განმავალობაში ემალებოდა პოლიციას; ბოლოს დაიჭირეს 31 იანვარს 1840 და სასამართლომ გარდასწყვიტა იმის სიკვდილით დასჯა; მაგრამ კოროლმა სიკვდილის მაგიერად საუკუნოდ ციხეში ჩასმა დაუნიშნა.

თებერვლის რევოლიუციამ 1848 წელში ის გაანთავისუფლა. ბლანკი ჩამოვიდა პარიჟში და დააარსა ცენტრალური რესპუბლიკის საზოგადოების კლუბი, რომლის საქმეც იყო 17 მარტის, 16 აპრილის და 15 მაისის აჯანყება. ამ უკანასკნელს ღღეს ბლანკი, რომელიც წინაუძღოდა დიდ ძალ ხალხს, შეევარდა სხდომის დროს კანონ-მდებელ კრებაში და მოითხოვა პოლშის განთავისუფლება და აღდგენა. ის დაიჭირეს და უმაღლესმა სასამართლომ ბურჟში გარდაუწყვიტა მას ამისათვის ათის წლის ციხე. როდესაც იმპერია დამკვიდრდა 1859 წ. ბლანკი გაანთავისუფლეს, ის რამოდენიმე ხანს სცხოვრებდა ლონდონში, საიდამაც დაბრუნდა 1861 წელს საფრანგეთში, მაგრამ 14 ივნისს ხელ-ახლავ, როგორც საიდუმლო საზოგადოების მოთავე პირს გადაუწყვიტეს ოთხი წლის ციხე და 5000 ფრანკი ჯარიმა; ამის შემდეგ რამდენჯერ იყო კიდევ პასუხისგებაში მიცემული და ბოლოს მეორედ გარდაუწვიტეს სიკვდილით დასჯა შემდეგ მილიეტის საქმისა. როდესაც საფრანგეთში გამოაცხადეს რესპუბლიკა 4 ენკენისთვეს 1870 წ. ბლანკმ დააარსა თავის გაზეთი „*La Partrie er danger*.“ 31 ოკტომბერს მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო წევრების ტროშიუსი, ჟულ ფავრის, არაგოსი, ბარნიე პაჟესი და სხვების დატუსაღების განზრახვაში, რისთვისაც მესამეთ იყო გარდაწყვეტილი მისი სიკვდილით დასჯა; მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ რამოდენიმე კვირის ციხეში ჯდომის შემდეგ, ბლანკი კიდევ გახდა მოთავედ 18 მარტის 1871 წლის აჯანყებისა, მიიღო მხურვალე მონაწილეობა კომმუნის დაარსებაში, რომლის წევრადაც ირიცხებოდა, რის გამოც მაისში 1872 წ. მიუხედავად იმისა, რომ არ შეეძლოთ მისი გამტყუნება ვერც ერთ დანაშაულობაში, მაინც გარდაუწყვიტეს ახალ-ქალედონიაში გარდასახლება; მაგრამ მოხუცებულებისაგან დაუძლურებისა გამო ჩასვეს ციხეში, სადაც დარჩა 1879 წლამდი. ერთი თვის წინეთ ბლანკიმ დაიწყო გაზეთის გამოცემა, რომელსაც დაარქვა სახელად „*Ni Dieu ni maitre*“ („არც ღმერთი, არც ბატონი“).

განცხადებანი

ტაქცია

საგებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვისგანმავლობაში, 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	— 1 გირვ.	5 კ.
მეორის „	— 1 გირ.	4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	— 1 გირვ.	6 კ.
მეორის „	— 1 გირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში	1 გირ.	7
მეორის „ „	1 გირ.	5½
მესამის „ „	1 გირ.	5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	— 1 გირ.	10 კ.
მეორის „	— 1 გირ.	8.
სუკი	— 1 გირ.	16
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11
ლორის ხორცი	— 1 გირ.	12
ლორის ხორცი	— 1 გირ.	11 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაიდნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

„ქართული დრამატიული საზოგადოების“ დამფუძნებელნი მწევრნი მოწვეულნი არიან საზოგადოების საერთო ყრილობაში კვირას, 18 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე, თბილისის თავად-აზნაურთა ბანკში.

საგანი ყრილობისა: საზოგადოების მმართველობის არჩევა.

3—1

1881 წლის პირველ იანვრიდამ ცალკე ნომრები «დროებისა» ქუთაისში ისყიდება ივანე ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში.

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა **საუასბოეების შემოსავალის იჯარით გაცემაზედ** ამა 1881 წლის 15 იანვრიდამ ვიდრე 1 იანვრამდე 1884 წლისა.

პირობების (კანდიციის) ნახვა მსურველთ შეუძლიანთ **უპრავის** კანცელარიაში დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ, გარდა უქმ დღეებისა. 3—3

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ქველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—4)

შოტლანდიის ქუდები — 1 მან. 25 კაპეიკიდამ, ყმაწვილის წინდები, დუქნი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდამ, ბრიტანიის მეტალის ჩაინიკები—1 მანეთიდამ და სხვა—ისყიდება **ლონდონის მაღაზიაში**, ქამერჩესკი ბანკის ქვეშ. 10—6

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაღებელი მუავანი

მაკ-ოს-ფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასხობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—26)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ციხტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნველის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—12)

ლონდონის მაღაზიაშიდ კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება. 10—8

„ვეფხვის-ტყაოსნის“

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია სთხოვს უფლის უფროსებს, ეპარხიების მმართველთა უფლების და გუბერნიის მარშლებსა და ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა იშოვონ და დროებით გამოგვიგზავნონ ქვემო-მოყვანილი ადრესით **ხელ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“**. შემდეგ პოემის შეთანხმებისა წიგნი დაუბრუნდება პატრონს უმეტ-ნაკლოთ.

ადრესი: **Тифлисъ. Канцелярія общества грамотности. Саперная улица, № 41.** 8—7

შემოსავით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუქინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—15

ფარმატებაზე უკეთესი არა არის-რა, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდ-ძალი **ჩაი** 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—14

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. **რევოლვერები**—4 მანეთიდამ, ხველის კანფეთები გირვანქა 60 კაპ. ქინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. **ინგლისის მაღაზიაში.** 10—8

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ნგენი ნაი—1 მ. 10 კ. | | |